საქართველო
ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“
GEORGIA
N(N)LE. MANAGEMENT CENTER OF NURSERY SCHOOLS OF
ZUGDIDI MUNICIPALITY
საიდენტიფიკაციო კოდი:420427023

ბრძანება:**ბ73.24221601**
თარიღი:**09/06/2022**

**ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო**

**დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ს ქვემდებარეობის ქვეშ მყოფ ს/ბაღებში 2022-2023 სასწავლო წლისათვის ბავშვთა მიღებასთან დაკავშირებით ელექტრონული რეგისტრაციისა და მისი ეტაპების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ააიპ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ წესდების მე-4 მუხლის ,,თ“ პუნქტის, ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის შესახებ“ მართვის ცენტრის დირექტორის 18.02.2022 წლის #73.24221381 ბრძანების მე-3-4-5 მუხლების შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში მყოფ ს/ბაღებში 2022-2023 სასწავლო-წლისათვის ბავშვთა მიღების მსურველთა რეგისტრაცია იწარმოებს ელექტრონული ფორმით, ცენტრის მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე.

2. რეგისტრაციის დაწყების თარიღად განსაზღვრულია 2022 წლის 20 ივნისი.

3. ელექტრონული რეგისტრაცია წარიმართება 2 ეტაპით:

   **პირველი ეტაპი** - 2022 წლის 20 ივნისიდან 2022 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

   **მეორე ეტაპი** - 2022 წლის 11 ივლისიდან 2022 წლის 22 ივლისის ჩათვლით

4. **პირველ ეტაპზე რეგისტრაციის უპირატესობით სარგებლობენ:**

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 100000-ზე ქვევით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ბავშვები(სოციალურად დაუცველები);

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ოჯახის ბავშვები;

გ) იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე

სკოლამდელი დაწესებულების მომსახურებით;

დ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე მშობლების შვილები;

ე) ,,მარჩენალდაკარგული“ სტატუსის მქონე ბავშვები;

ვ) იძულებით გადაადგილებული პირები;

**მეორე ეტაპზე სხვა დანარჩენი.**

4. 2-დან 3-წლამდე ასაკის ბავშვთა მიღება-რეგისტრაცია, ფაქტიურად არსებული ინფრასტრუქტურული პირობების გათვალისწინებით მოხდება შემდეგ სკოლამდელ დაწესებულებებში (ს/ბაღებში): #2 ს/ბაღი, #12 ს/ბაღი, #13 ს/ბაღი, #16 ს/ბაღი, სოფ.ახალკახათის ს/ბაღი, სოფ.ჯუმი ს/ბაღი, სოფ.დარჩელის #1 ს/ბაღი, სოფ.ანაკლიის ს/ბაღი.

5. ელექტრონული რეგისტრაცია იწარმოებს რეგისტრაციის გამოცხადების შემდგომ უწყვეტად ვაკანტური ადგილების შევსებამდე.

6. ელექტრონული რეგისტრაციის მეშვეობით ვაკანტური ადგილების შევსების შემდეგ, ცენტრის პორტალზე იქმნება ელექტრონული რეზერვი, სადაც ბავშვის რეგისტრაცია სასურველი ბაღის მიხედვით ხდება მშობლის განცხადების საფუძველზე.

7. ელექტრონული რეზერვიდან რეგისტრაცია წარიმართება უწყვეტად, ვაკანტური ადგილის გაჩენის შემთხვევაში, რეზერვის ამოწურვამდე.

8. დაევალოს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რეგისტრაციის დაწყებამდე მოსამზადებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, უზრუნველყონ აღსაზრდელთა შესაბამის ჯგუფებში გადანაწილება, რისთვისაც მ/ცენტრში წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია.

9. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ განყოფილებას /გამგე:ირმა გვასალია/ უზრუნველყოს ელექტრონული პორტალის გამართულობა, აღსაზრდელთა რეგისტრაციისა და მიღების პროცესის ორგანიზება ცენტრის მიერ მიღებული წესებისა და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის:ქ.ზუგდიდი,რევაზ ლაღიძის ქ. №12).

ხათუნა თოლორაია

ა(ა)იპ "სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი